

კოჰრანის გაცვლითი პროგრამა 2019

აშშ საელჩო საქართველოში იწვევს დაინტერესებულ პირებს აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოჰრანის ყოველწლიურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოქალაქეების მოკლევადიან (2-3 კვირა) ტრენინგს ამერიკის შეერთებულ შტატებში. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სოფლის მეურნეობის დარგის მაღალი და საშუალო რანგის მუშაკებს, ფერმერებს, მენეჯერებსა და ადმინისტრატორებს, რომლებიც ჩაბმულნი არიან სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობაში, აგრობიზნესის მართვასა და მარკეტინგში, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. მონაწილეთა ინტერესების სფერო შესაძლოა მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარკეტინგს, გადაამუშავებას, დისტრიბუციას, საბითუმო/საცალო ვაჭრობას, სასოფლო-სამეურნეო კრედიტებს, საბანკო საქმეს და პოლიტიკის რეფორმას შესაბამის სფეროში. ინგლისური ან რუსული ენის ცოდნა სასაუბრო დონეზე სასურველია და არა აუცილებელი მონაწილეთა შერჩევისათვის.

2019 წლისთვის პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. ამერიკის შეერთებული შტატების მღვის პროდუქტების შესწავლა და მარკეტინგი
2. ხილის და ბოსტნეულის შენახვა-გადაამუშავება და მარკეტინგი

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

მონაწილეები შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე. შესავსები აპლიკაციის ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ამერიკის საელჩოს ვებ გვერდზე. ელექტრონულად გამოგზავნილი აპლიკაცია არ მიიღება.

აპლიკაციის ჩაბარების ბოლო ვადაა 2018 წლის 22 ოქტომბერი, 17:00 საათი.

2019 წლის კოჰრანის გაცვლითი პროგრამა განხორციელდება 2019 ან 2020 წლებში დაფინანსების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე; დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს საქართველოში შემდეგ მისამართზე: tbilisiusda@state.gov